ტფილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 87
აპრილის 22, სამშაბათი 1903 წ.
1877

ივერია

№ 87
აპრილის 22, სამშაბათი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ აპრილიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია"

ჰღირს 8 მანეთად

გაზეთის „ივერიის" ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

კნეინა ეფროსინე ნიკოლოზის ასული შვილებითურთ და თავ. ილარიონ გიორგის ძე ნაკაშიძე გულითადის მწუხარებით აუწყებს-რა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველი მეუღლისა, ხოლო მეორე ძმისა

თავ. გრიგორი გიორგის ძის ნაკაშიძისას,

სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის გამოსვენებაზედ 22 აპრილს, ნაშუადღევის 5 საათზედ, ორპირის ქუჩაზედ, ქ. ქუთაისს, ბახტაძის სახლიდგან ქუთაისის რკინის გზის სადგურზედ. დაკრძალვა 24 ამა აპრილს, ქ. ოზურგეთში (1—106—1)

უმთავრესი კანტორა დ. ზ. სარაჯიშვილისა ქ. ტფილისში აცხადებს, რომ

საუკეთესო ვენახების

კახური ღვინის

შესანახად და დასაძველებლად, 1903 წლის 1 იანვრიდგან დაქირავებულია სარდაფები **პეტრუსა მაკაროვისა.** კანტორა და მაღაზია ღვინის ვაჭრობისა იმავე სახლშია (ოლგის ქუჩა, ტელეფონი № 150).

ღვინოები ისყიდება 25 კაპ. დაწყებული ბოთლი.

ნარდად მსყიდველთ და მუდმივ მუშტარს ნაკლებად მიეცემა; ათ ბოთლზედ ნაკლები თუ არ მოითხოვა მუშტარმა, ღვინოს კანტორა სახლშივე თვითონვე მიუტანს.

ღვინო ისყიდება:

საწყობში—გოლოვ. პროსპ. სახ. დობრჟანსკისა, ტელეფ. № 595.
დეპო № 2, თავ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ ტელეფ. № 210
დეპო № 1, სასახლის ქუჩა, საკუთარი სახლი, ტელეფონ. № 60.
კავკასიის აფიც. საზოგ., რკინის გზის მოხელეთა მომხმარებ. საზოგადოებისა, შაქიევისა, მანიევისა, აკოფოვისა და სხვა საგასტრონომიო მაღაზიაში. (25—6.—14)

სეტყვის ამაცდენელი ზარბაზანი (მორტირა)

კელენის სისტემისა

„იდეალ"

სახალხთაშორისო კონგრესზე ლიონში **უმაღლესი საჩუქარი** მიუღია. მკვიდრად გაკეთებულია და ხმარებაც **სულ უშიშრად** შეიძლება. სრულიად რუსეთისათვის ერთად-ერთი წარმომადგენელია **პეტრე ყიფიანი** ტფილისში, ოლგინის ქუჩა, სახლი მაკაროვისა. **ტელეფონი** 150. ზარბაზნების საწყობი სარაჯევის სახლშია წყნეთის ქუჩაზე. (12—6.—12)

ყურადღება მიაქციეთ

ახლად მოსული უცხოელი, სამაგალითოდ მწვრთნელი ძაღლებისა, იყვანს ყველა ჯიშის ძაღლებს გასაწვრთნელად, **განსაკუთრებით სანადიროთ**

ადრესი ვთხოვთ დასტოვონ რედაქციაში დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათ. (1—110—1)

ცირკი ძმ. ნიკიტინებისა.

სამშაბათს, 22 აპრილს, დანიშნულია სხვათა შორის, 2 ჭიდაობა. 1-ლი დაუძლეველ მოჭიდავის **რომოსი** და ცნობილ მოჭიდავის

გ. ოდიშვილისა (იგივე ჯიბგირი) ჯილდო 25 მან. 2-ე ჭიდაობის მოყვარულთა ჭიდაობა. ჯილდო ვერცხლის საათი.

ამ წლის მაისის თვეში ტფილისში გაიმართება **ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ**

სახალხო სეირნობა

საქველ-მოქმედო ბაზარითურთ

შემოწირულობათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულის ჭავჭავაძესთან, ნიკოლოზის ქუჩა, № 21 და ქართველთა შორის წ.-კითხვის გამარცელებელ საზოგადოების კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა.

წმიდა ათონის მთიდგან.

ჩვენ ქართველთა ძმანი ივერიის ახალი სავანისა წმიდის დიდებულის იოანე მახარობელისა და ღვთის-მეტყველისანი, ვსთხოვთ სრულიად საქართველოს საზოგადოებას, ღვთის მოყვარეთა და იესო ქრისტეს მცნების აღმასრულებელთა, რათა ყურად იღონ ჩვენი გაჭირვებული ცხოვრება, ვინაიდგან ქართველთა აღშენებული ჩვენი ძველი ივერიის მონასტერი ძალ-მომრეობითა და უსამართლოდ მიიღეს, და სრულიად მიითვისეს თავისის სიმდიდრითა და მამულებითა ბერძენ ბერთა, და სუფევენ მას შინა, ვითარცა ფაშა. და არა რას მისგან ჩვენ არ გვაძლევენ, და ჩვენ ვიტანჯებით აუცილებელის საჭირო წყალის უქონლობისა გამო; ვინაიდგან წყარო გამოდის სამის ვერსის მანძილზედ და ამას სჭირდება მილით მოყვანისათვის სამი ათასი მანეთი. ჩვენ-კი სრულიად არა რაი გვაქვს. ამისთვის გთხოვთ ყოველთა ღვთის-მოსავთა ქართველთ სასულიეროთა და საეროთა, პატივცემულთა ვაჭართა, და ყოველთა მოხელეთა შეგვეწიონ, რაოდენითაც შეუძლიანთ ღვთის მცნების აღსრულებისათვის.

ჩვენი ადრესი:

Турція (черезъ г. Батумъ).
На св. Аѳонскую гору, въ Русскій св. Пантелеймона Монастырь, Архимандриту отцу Андрею для передачи въ Обитель св. Іоанна Богослова старцу Іеромонаху отцу Іонѣ съ братіею.
(10—1)

გაიხსნა

დეკადანსური მაღაზია

საუცხოვო ხელოვნების ნივთებისა არტისტიულ საზოგადოების შენობაში. (7—6.—7)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის. კვირა-უქმეღღეებში 9—2-მდის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფით საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სდოსტაქრო-ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. გ. აპეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ძ. ი. ზძლიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ნ. ს. ლუზეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბანინა** 7—7½ საათამდის. ქალისა და საზებიო ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ზ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ხ. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ა. ს. მუსხელაშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე—ორშ., ოთხშ., და შაბათ. 10—11.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით 10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა— ორშ. ხოთშ. და შაბათი. 11½—12½.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 ს.

გრ. ვ. სოზოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარიკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მუდმივი ექიმი გ. დ. ნასარიძე.

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

№ 46—8 ტელეფონი № 617

ტფილისი, 22 აპრილი.

დღევანდელ ნომერში დაბეჭდილია „მშაკის" წერილი, სახელად „სომხის კათოლიკეთა სურვილი". რა სწადიანთ ამ კათოლიკებს, ან უკეთ ვთქვათ ა-ის ინიციალ ქვეშ ამოფარებულს ავტორს წერილისას? სომხური ღვთის მსახურება, სომხის ეპისკოპოსი და სომხური სემინარია, სომხის კათოლეკენი ვერ მოითმენენ და არც თანახმა გახდებიან ლათინური ღვთის მსახურება შემოიღონ მათ ეკკლესიებში და სომხური განაძეონო, ბრძანებს ავტორი. თურმე განძევება სომხურის ენისა ჰსწადიანთ ქართულად მოლაპარაკე რომის კათოლიკებს და ამ საქმეში ხელს უწყობს იმათ ახლად დამტკიცებული სარატოვის ეპისკოპოსი, რომლის ხელქვეით არის, როგორც მოგეხსენებათ, კავკასიის კათოლიკეობა. საწადელი პატიოსანი და თანასაგრძნობი აქვთ სომხის კათოლიკებს, მაგრამ აქ რა შუაში არიან ან სარატოვის ახალი ეპისკოპოსი ან ქართულად მოლაპარაკე რომის კათოლიკენი? ან ეს ქართულად მოლაპარაკე რომის კათოლიკე რაღაა? რა ერის არიან ასეთი კათოლიკენი? ნუ თუ მეშფოთრეები უნდა ეწოდოს იმათ და, სომხის კათოლიკეთა ერთ კრებულსა (ახალციხე-ართვინისაკენ), როცა პირველნი თავიანთ თავს ქართველს უწოდებენ და უკანასკნელნი ე. ი. სომხის კათოლიკე ქართველებიც ამის ძალითვე თხოულობენ ქართულ ღვთის მსახურებას სომხურის მაგიერ, მხოლოდ სომხის წესით, ან გადაგვარების, ე. ი. გასომხების შიშით შეძრწუნებულნი ირჩევენ ერთის წესიდგან მეორეს წესზე გადასვლას? დაეკითხოს ბატონი ავტორი მამა მიქელ თამარაშვილის ქართველთა შორის კათოლიკობის ისტორიას, სადაც ორიგინალადაც არის მოყვანილი ოფიციალი დოკუმენტები, და დარწმუნდება, რომ ქართველობაში არა თუ რომის, არამედ სომხის წესის კათოლიკენიც-კი არიან. თუ ეს არ სჯერა, დაეკითხოს თვით ხალხსა და მიიღებს საკადრისს პასუხს. კერძო ნებაყოფლობაც რომ იყოს მარტო და არა ნამდვილი სახილველი საბუთები, ვინ უძრახავს ვინაობის დაცვას? მათი ნებაა რა წესი მიიღონ, ოღონდ სარწმუნოებას არ უღალატონ. ნება არა თუ სარწმუნოების ახალს წესს, არამედ ახალ სარწმუნოებასაც მიაღებინებს ხალხსა და ზოგჯერ ისიც მომხდარა, რომ ნებას, მარტოსაც-კი, შეუკრებია სხვა-და-სხვა რჯულისა და ტომის ხალხი და ერთ ერად შეუდგენია.

ალექსანდროპოლის მაზრიდან ცილის წამების გზავნას და დასმენას, რომის კათოლიკე ქართველები მეშფოთრები არიან და ამ საქმეში ხელს უმართავს იმათ სარატოვის ახლად დამტკიცებული ეპისკოპოსიც, დიაღ ასეთი სიტყვების წამოყრანტალების მაგიერ წერილის ავტორს ჰმართებდა თვისის სიმართლის მეძიებელს ზნეობა დაეცვა და სხვისი სიმართლე, ისტორიითაც და ცხოვრებითაც უარ უყოფელი, ფეხქვეშ არ გაეთელა.

ნეტა რას ფიქრობდა „მშაკი", როცა „სომხის კათოლიკეთა სურვილს" ბეჭდავდა? ნუ თუ ეგონა კირწყლად გამოადგებოდა ქართველთა და სომეხთ ურთიერთობას, ძმობას და მეგობრობას, რომელიც პირზედ აკერიათ მის თანამშრომლებსა და ხელთ-კი უპყრიათ ყოველი ძალი და ღონე ჩვენის ვინაობისა და სახელის გასაქარწყლებლად, ჩვენდა ასახოცავად დედამიწისაგან.

ვწუხვართ, რომ „მშაკიც" ამას ჩადის და მასთანავე გვიკვირს, რად არ ჰსცნობს „ნორ-დარს" თავის ცალად და რად ერიდება მისი სახელის ხსენებას, როცა ორნივე ერთ ხორც და ერთ სისხლ არიან.

ტფილისი

◆ საქართველოს ექსარხოსმა 17 აპრილს დაათვალიერა ბათუმში ეკკლესიები, სკოლები და სხვა-და-სხვა დაწესებულებანი; ბრძანდებოდა აგრეთვე სომეხ-გრიგორიანთა ეკკლესიაშიაც და იმავე დღეს, ნაშუადღევის 2 საათზედ, წაბრძანდა ახალ ათონს.

◆ მოგვივიდა ახალი ქართული წიგნი „დურგლიაანთ ქორწილი", მოთხრობა გიგო ხეჩუაშვილისა. ეს მოთხრობა შარშან ზაფხულს ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი ფელეტონებად და ახლა ცალკე წიგნად დაუბეჭდია ვანო გირგოლოვს. წიგნი სუფთად არის გამოცემული და ჰღირს ერთ აბაზად.

◆ საქართველოს ექსარხოს ბათუმში ყოფნის დროს დაუთვალიერებია ამ ქალაქის გარემონი და გამოუცხადებია, რომ სასურველია აქ სადმე გაიმართოს დედათა მონასტერი.

◆ უმაღლესის ბრძანებით, სოჭასა და ტუაპსეში უნდა გაიმართოს სამკურნალოები. ფული ამ სამკურნალოთა ასაგებად გადადებული იქნება საერობო თანხიდან. თუ ვინიცობაა ამ თანხიდან გადადებულმა ფულმა არ იკმარა, სათადარიგო თანხიდან უნდა გაიღოს დანარჩენი საჭირო ფული.

◆ სამხედრო მინისტრი გენ.-ადიუტანტი კუროპატკინი ამ ჟამად შორეულ აღმოსავლეთისკენ მოგზაურობს. ამბობენ, რომ მინისტრი წელს საქართველოშიაც მოვაო.

◆ გუდაუთში მღვდლის ი. ჭავჭანიძის მაგივრად დაუნიშნავთ მღვ. ალ. ბობროვი. მ. ჭავჭანიძე სოფ. ბაკლანოვგაში გადაუყვანიათ.

◆ ტფილისში უკვე ჩამოვიდნენ ბათუმიდამ მესამე გიმნაზიის მოწაფე-ქალები.

◆ ტფილისის საბაღოსნო სკოლაში გაიმართება ფუტკრის მოვლის კურსები. კურსებზედ შეუძლიან იაროს ყველას, ვისაც-კი ჰსურს შესწავლა ამ სამეურნეო დარგის ხელობისა.

◆ 18 აპრილს ნ. ე. ზუბალაშვილის ანდერძის შესასრულებლად დანიშნულ საბჭოს კომისიას კრება ჰქონდა. კომისიის თავმჯდომარემ თ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა კრებაზედ გააცნო წევრებს, თუ რაში არის დახარჯული და ან რა გაკეთებულა იმ ფულით, რომელიც ნ. ე. ზუბალაშვილმა ანდერძით დასტოვა „ღარიბთა“ თავშესაფარის ასაგებად ტფილისში. როგორც სჩანს, მიწის საწევი მუშაობა სულ დამთავრებულია, დარჩენილია საკალატოზო, სადურგლო და სამხატვრო საქმეები. შემდეგში მუშაობის თვალ-დასაჭერად კომისიას ამოურჩევია პატარა კომისია, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: თ. ა. ი. ბებუთოვი, ნ. ნ. ოსტროგორსკი და ნ. ა. გრიქუროვი.

◆ ტფილისში ჩამოვიდა განჯის გუბერნატორი ნ. ა. ლუტცაუ.

◆ 27 აპრილს შრომის მოყვარეობის სახლის მზრუნველთა საზოგადოების წევრთა წლიური კრებაა დანიშნული. კრებაზედ განიხილავენ წარსულ 1902 წ. გამგეობის ანგარიშს, გამგეობის სხვა-და-სხვა მოხსენებას შრომის მოყვარეობის სახლის აშენების შესახებ და ბოლოს მოხდება გამგეობის წევრების არჩევნები.

◆ ტფილისის ქალთა პირველ გიმნაზიაში დაიწყება მისაღები ეგზამენები მოსამზადებელ განყოფილებით 16 მაისს და პირველ სამ კლასში-კი 30 მაისს. კადეტთა კორპუსში მისაღები ეგზამენები, ვაკანსიების უქონლობისა გამო, იქმნება მხოლოდ პირველ, მეორე და მესამე კლასისათვის, დაიწყება 22 მაისს. ქალაქის საოსტატო ინსტიტუტში გამოიცდებიან მხოლოდ პირველ, მეორე განყოფილებისა და პირველ კლასისთვის დაიწყება—16 მაისს. ტფილისის მეორე ვაჟთა გიმნაზიაში მოსამზადებელ განყოფილებისათვის და მეექვსე კლასისათვის დაიწყება—16 მაისს. მეორე ქალთა გიმნაზიაში მისაღები ეგზამენები დანიშნულ იქმნება ყველა კლასისათვის.

◆ გუშინ ქალაქის თავი, ვისაც-კი გასაგები, ან საკითხი რამ ჰქონდა, ყველას პირ-პირ იღებდა მაშინ, როდესაც წინად, ქალაქის თავის ნახვა მოუხსენებლად არ შეიძლებოდა!

◆ უმაღლესის განკარგულებით ახალ ათონის და სიმონ კანანიტელის მონასტრებს ებოძათ ადგილი ლენქორანის მაზრაში, სადაც თევზის საჭერია, ეკკლესიის ასაშენებლად.

◆ როგორც გავიგეთ, ამ ბოლო ხანებში დიდძალი ბამბა მოსულა ბაქოში სპარსეთიდამ და იმიერ-კასპის მხარიდამ.

◆ ამ დღეებში ტფილისში, ქალაქის დასათვალიერებლად, ჩამოვიდნენ პირველი და მეორე კლასის მოწაფეები ბაქოს კომერციულის სასწავლებლისა.

◆ 4 მაისს ამიერ-კავკასიის რკინის გზის უმთავრესი სახელოსნოები თავის ოცი წლის მოქმედების იუბილეის გადაიხდის.

◆ ტფილისის სახაზინო პალატამ განკარგულება მიიღო ფინანსთა სამინისტროდამ, რომ ყველა გუბერნიებში, სადაც ჯერ საერობო დაწესებულება არ არსებობს, ქალაქების უძრავ მამულებზედ ხარჯის გაწერა არ შეიძლებაო; მაშინ, როდესაც ტფილისში ასეთ მამულებზედ საერობო ხარჯი ერთმევაო. სახაზინო პალატის თხოვნით, 19 აპრილს, ქალაქის გამგეობამ წარუდგინა სია იმ სახაზინო უძრავ მამულებისა, რომლებზედაც ხარჯი იყო გაწერილი – ყოველ წლივ.

◆ ალექსანდრეს ზემო ბაღში, გუშინ ერთი უცნობი კაცი, ერთბაშად გადაიქცა გულ-შეწუხებული. საწყალს პირი სახე დედამიწისთვის დაეკრა, ლოყის ძვალი გაეტეხა და თქრიალით სისხლი დასდიოდა. აღმოჩნდა, რომ ბნედა თურმე სჭირდა.

რას ლაპარაკობს სომხური ჟურნალ-გაზეთობა?

სომხის კათოლიკეთა სურვილი

წერილი ა სი

(„მშაკ“ 1903 წ. აპრილის 16)

ორას სამოც და-ათ წელიწადზედ მეტია, რაც კავკასიის სომხის კათოლიკენი განიკებოდნენ მშვიდად და წყნარად ახალციხის სასულიერო მმართველობის ხელმძღვანელობით.

ეს გამგეობა, რომელიც ნეტარ-ხსენებულის შახულიანცის დროინდელია და დამტკიცებულია რომის პაპისა და რუსის მთავრობის მხრივ, ჰსწყვეტდა სომხის კათოლიკეთა საეკლესიო დავებს, ამზადებდა და წვრთნიდა დიაკვნებსა და მთავრებსა და გზავნიდა სარატოვს, რათა იქ მჯდომის ლათინთ ეპისკოპოსის ხელთაგან მიეღოთ სასულიერო წოდება.

იქ ხელდასხმის წესი სრულდებოდა ლათინურის ენით, რომელიც სრულიად გაუგებარი იყო სომხის დიაკვნისათვის. ამ ჟამამდეც ეგრეა საქმე. სამწუხარო ამბავია, მაგრამ სხვა ღონე არ არის, რადგანაც დღემდე კავკასიას არა აქვს თავისი საეპისკოპოსო კათედრა, არა ჰყავს სომხის კათოლიკე ეპისკოპოსი.

მაგრამ, თითქო ეს არ ყოფილიყოს საკმაო, ეხლა სალაპარაკო გამხდარა უფრო სამწუხარო საქმე. აი თუ როგორ:

ქართულად მოლაპარაკე კათოლიკენი, რომელნიც კერძო ნებაყოფლობით თავიანთ თავს ქართველ რომის კათოლიკეს უწოდებენ, უკანასკნელ დროს უგულებელ ყოფით ეკიდებიან ახალციხის სასულიერო მმართველობას, თავიანთ შვილებს სასწავლებლად ჰგზავნიან ლათინის სემინარიებში და სარატოვის ახლად დამტკიცებულის ეპისკოპოსისაგან გამხნევებულნი ცდილობენ ეკლესიებიდგან განაძევონ სომხური და მის მაგიერ შემოიღონ ლათინური ღვთის მსახურება...

მაგრამ ეს მეშფოთრები ამაოდ სცდილობენ, გული აუმღვრიონ სომხის კათოლიკებს, ამაოდ სცდილობენ მათ დას-დასებად დაყოფას. სომხის კათოლიკენი ვერასოდეს განეყოფიან თავიანთ დედა-ენას და არც დასთანხმდებიან თავიანთ ეკლესიებში გაუგებარის ლათინურის ღვთის-მსახურების ნება დართონ.

პირიქით, ყოველნაირად უნდა ეცადონ და განახორციელონ თავიანთი სურვილი, რომელსაც ეტრფიან დიდი ხანია.

ეს სურვილია—კავკასიაში იყოლიონ სომხის კათოლიკე ეპისკოპოსი, რომელსაც, როგორც უმაღლეს უფროს, შეეძლოს ხელდასხმის შესრულება და საეკლესიო მორიგი საქმეების მართვა.

კავკასიაში საკუთარი საეპისკოპოსო კათედრის დამტკიცების შემდეგ მოსახერხებელი იქმნებოდა საკუთარის სემინარიის დაფუძნებაც სომხის კათოლიკეთათვის. აქ გამოიზრდებოდნენ კათოლიკე სასულიერო პირნი, აქ გაიცნობდნენ დედა-ენას საეკლესიო წესებთან ერთად და მით საფუძველი ხელთ ექმნებოდათ სამსახურებლად თავიანთი მადლის მოწოდებისათვის.

მართალია, ადრეც იყო გამოთქმული ასეთი სურვილი, მაგრამ უდაბნოში მღაღადებლის ხმად დარჩა. ხოლო ეხლა იგი ჟამის მომწიფებული მოთხოვნილება გამხდარა, გადაუდებელი და მორიგი მოთხოვნილება...

სასურველია, ეხლა მაინც დასცეს—დასტური რომის უმაღლესმა მთავრობამ ამ მოთხოვნილებას და განახორციელოს კავკასიის სომხის კათოლიკეთა გულითადი სურვილი.

მთარგმნელი
კლდია.

ჩვენებური ამბები

ს. ჩუმლაყი (სიღნაღის მაზრა). წარსული 1902 წელიწადი დაუვიწყარი იქნება ამ სოფლის მცხოვრებთათვის ცარცვა-გლეჯით და ყოველისავე ბოროტ-მოქმედებით. როგორც იყო გავაჩანჩალეთ ის წელიწადი იმ იმედით რომ ახალწელიწადი დაგვიდგებოდა მშვიდობიანი.

ასეთ სასოწარკვეთილებამდის მიიყვანა შარშან ჩუმლაყის მცხოვრებნი მომეტებულის ქურდობით, მაგ., ორმა ბიჭმა: ვანო და ცინგლა ომარაშვილებმა. დაიწყა ხალხმა წარსული და ახალ წელიწადს მიეგება დიდის შედლუხებით; მაგრამ გაუმტყუნდათ ეს იმედიც მით, რომ არ გასულა ერთი მესამედი ახალის წლისა, და ორი მკვლელობა მოხდა: ერთი იანვრის გასულს, მეზობელი მოჰკლა მეზობელმა და მეორე აღდგომის ზვარაკივით დასჭრეს, სწორედ აღდგომის დღეს. ეს მეორე ამ ჟამად ძალიან ცუდად არის. რაინდები-კი ისევ ისე დაბრძანდებიან დაუბრკოლებლივ თავიანთ რაინდულ საქმეზედ.

გარდა ამისა, 12 აპრილს ღამის 1 საათზედ, მისულიყვნენ მღვ. რ—თან ოთხი შეიარაღებული ყაჩაღი და დაეწყოთ ძახილი, ვითომც საზიარებელი არის და მოდიო, მაგრამ ვერ გამოეტყუებინათ კარში და ვერც კარები გაეღებინებინათ და ისევ ცარიელნი დაბრუნებულიყვნენ მთისაკენ, რომელიც ზედვე აკრავს ს. ჩუმლაყსა.

ყველა ამ ფრიად სამწუხარო ამბებს სასიამოვნო ამბებიც მოჰყვა ჩვენს მხარეში და თავისუფლად ამოისუნთქა, ისედაც ზნეობით ოთხ დაცემულმა ხალხმა; 14 აპრილს ნასადილევის 4 საათზე მახლობელ ს. გურჯაანში დაიჭირეს ციმბირიდგან გამოქცეული აქაურივე მცხოვრები უთიაშვილი, რომელიც ეს მეორედ არის გამოპარული და ეს ორი წელიწადია რაც იმალება თავის სოფელში და ბევრს ავ-კაცობას მოქმედობდა თავისი დასტით და ახლაც პირველი მეთაური ყოფილიყო მღ. მ. რ—ის გაცარცვაში.

ამინდი აქეთ ძრიელ ნოტიოანია და ვაზის წამლობას ხელს უშლის. ჯეჯილებს ჯერ კარგი პირი უჩანს, თუ მომეტებული ნოტიო არ დადგა; ვაზს ყურძენი კარგათ უჩანს, მაგრამ თან ავადმყოფობაც ეტყობა.

ხევისპირელი.

რიონ-გაღმის კუთხიდგან. მარტი ისე გავიდა, რომ თოვლჭყაპი აღარ გვწვევია. თბილი ამინდის გამო ხეხილებს ყვავილი შერჩა და კარგი მოსავლის პირი უჩანს. 13 აპრილამდე გვალვებიც იდგა და მუშა ხალხი ძლიერ სწუხდა, რომ ყანები გვიან იხვნებოდა; მაგრამ ეს ორი დღეა საკმაოდ იწვიმა და ხალხიც გავიდა სახნავად. მთებში-კი ხვნა თესვა ძლიერ გვიან იქნება, რადგან ზოგან ჯერ კიდევ აქა-იქა თოვლი ძევს.

ძლიერ მოდიდნენ მდინარეები მარტში, რის გამო ერთი კვირის განმავლობაში ეტლების მიმოსვლა ჩვენს კუთხეში თითქმის შეიწყვიტა. რიონი ნაპირებზედ გადმოვიდა, ბორნამდე მისვლა გასაჭირი გახდა; ამიტომ ამ დროს დილიჟანსები ვანიდგან ჩადიოდნენ საჯავახოს სადგურზედ, ოცი ვერსის მანძილზედ და ერთ მოგზაურობასაც ვეღარ ასწრებდნენ დღეში.

მეტად გაჭირვებულნი არიან აქაურნი მცხოვრებნი უხიდობით. თავის დროზედ მათთვის არც ექიმია, არც წამალია და არც მოგზაურობა. რკინის გზის გამგეობა სადგურ რიონთან აკეთებს ახალ ხიდს; ხმა დადის, ვითომც ძველი რკინის ხიდი ქუთაისისათვის უნდა დაეთმოს ბალახვანში გასადებად. რომ გვყოლოდა ვინმე პატრონი, ამ ხიდს ჩვენს კუთხეს უშოვიდა და ბევრად გაუმჯობესდებოდა აქაურ მკვიდრთა ბედი.

სასწავლებელთა რიცხვი აქეთ ისევ უწინდელია: არის ოთხი სასწავლებელი სავაჟო, საქალებო-კი არც ერთი. სასწავლებლები ყველა სავსეა მოსწავლეებით; ყოველ წელს აუარებელი მთხოვნელი აწყდება სკოლებს. მშობლები იწყებენ თხოვნას ახალ წლიდგან, ასეთის სიტყვებით: „ბატონო უჩიტელო, ჩამინიშნე ჩემი შვილი კომიტატადო და რითაც გინდა მიმსახურეო“. რა ქნას მასწავლებელმა, როდესაც სკოლაში მხოლოდ ოცი-ოცდაათ ადგილი აქვს და მთხოვნელი-კი ოთხჯერ მეტია.

წარსულ თვეში ჩვენს კუთხეს მოაკლდა ერთი მეტად პატიოსანი და საკმაოდ განათლებული კაცი, თავადი პარმენ ლორთქიფანიძე. განსვენებული იქნებოდა 58 წლისა, მაგრამ ჯერ მხნედ იყო და დაუღალავად შრომობდა; იყო უცოლშვილო და სცხოვრობდა ძმასთან ერთად. ძლიერ დამხმარე იყო ყველა ღარიბის და გაჭირვებულ მეზობლისა და ამიტომაც ყველას უყვარდა. განსვენებულმა დასტოვა ანდერძი, რაც შეიძლებოდა უბრალოდ დაემარხათ და მისი გასასვენებელი ფული შეეწირად რაიმე საქველმოქმედო საქმისათვის. ამისათვის მისმა ძმამ და ძმისწულებმა გადასდეს 500 მანეთი, ეს ფული დასაფლავების დღეს, საზოგადოების თანადასწრებით, გადაეცა მოძღვარს; შემდეგ კომისიამ უნდა გადასწყვიტოს თუ, რას მოახმარონ ეს ფული. პ. ლორთქიფანიძის დასაფლავებას დიდძალი საზოგადოება დაესწრო განურჩევლად წოდებისა. მიცვალებულის კუბოს ამშვენებდა ოთხი გვირგვინი სხვა-და-სხვა საზოგადოებისაგან. ყველა მეტად შეაწუხა მისმა გადაცვალებამ. სასურველია, სხვებმაც მიჰბაძონ ამ პატიოსან კაცს, რომ, ნაცვლად ქელეხებისა და უბრალო ხარჯისა, რაიმე საკეთილო საქმისათვის გადასდონ ორიოდე გროში.

წელს აქეთ ყველგან აბრეშუმის თესლის სიძვირეა: კოლოფი ოთხ მანეთად იყიდება და ვეღარც-კი შოულობენ. დღეს ბევრნი დარჩნენ უთესლოდ და იარმუკებში დაეძებენ თესლს. ქუთაისის სამეურნეო საზოგადოებას „კოლხიდასაც“ მივმართეთ, მაგრამ, როგორც სჩანს, ამასაც ცოტა ჰქონია წელს თესლი. მედუქნეს, თუ ვისმეს ჰქონდა მოტანილი, ხომ კარგი ამინდი დაუდგა: რაც შეიძლებოდა გააძვირეს; მეტი რა ღონეა, უნდა იყიდონ იმათგან.

ვლადო ბზვანელი.

კავკასია

ბაქო. ცარცვა, გლეჯა, წართმევა, სხვის შრომისა და ქონების დასაკუთრება, ქურდობა, მუშტი-კრივი, კაცის კვლა, ნამუსის ახდა ქალისა... ჩვეულებრივი მოვლენაა აქ. ამაებს, კარგა ხანია, შეეჩვია თვალ-ყური და ძვირად უკვირს ვისმე... უმეტესობას ასე ჰგონია, რომ ესენი აუცილებელია ცხოვრებაში და. უთუოდ ასე უნდა იყოსო...

მართალია, აქაური გაზეთები გაცხარებით ებრძვიან ყოველსავე ამ ბოროტებას, მაგრამ... მაგა-

ფელეტონი

იმპერატორის ნიკოლოზ 1-ს მოგზაურობა საქართველოში.

(შემდეგი *)

მეორე დღეს მთავარმა დადიანმა მთელი თავისს ამალით გამაცილა და მიმყვა თავისს სახლამდე, სადაც მიცდიდა იმერეთის მმართველი თავადებით და აზნაურებით, რომელთაც ქუთაისში შეადგინეს ჩემთვის საპატიო დარაჯი მათი. ნაირ-ნაირი ჩაცმულობა და ყოველივე, რაც აქ ჩემ თვალს წარმოუდგა, ისეთი რამ იყო, თითქო „ათას ერთ ღამის“ საარაკო ქვეყანაში ვარ-მეთქი“ [1].

„20 სექტემბერს დილით ადრე წარმომიდგინეს იმერეთის ეპისკოპოსი სოფრონი [2], მიტროპოლიტი დავითი [3] და სხვა-და-სხვა მცირე ადგილობრივი მფლობელები [4]; შემდეგ დავათვალიერე ჰოსპიტალი, სამაზრო სასწავლებელი და მე-10 ლინიის ჩერნომორსკი ბატალიონი. 10 საათზე გავემგზავრე ყველა ამ მცირე თავადების [5] და აზნაურების თანხლებით, რომელთაც ქართლის საზღვრამდე მიმაცილეს.

„ღამე გავათიე მოლითის სტანციაზე, სადაც მიცდიდენ ქართლის სამოქალაქო გუბერნატორი [6] და გუბერნიის წინამძღოლი [7] თავისს თავად-აზნაურობით და საპატიო ადგილობრივ მამასახლისებით. მთელი გზა, რედუტ-კალედან მოყოლებული მოლითის სტანციამდე,—რომელიც წინად ცალ-ფეხა გზად ითვლებოდა,—ახლა ბარონ როზენის მეცადინეობით ხელ-ახლად გარდაკეთებულია და ყოველფრით მოწყობილია ეტლების სასიარულოდ და ამ რიგად დაახლოვებულან ეს მომიჯნავე მხარენი, რომელთაც აქამომდე ურთიერთში არავითარი მიმოსვლა არა ჰქონდათ.

„30 სექტემბერს ჩვენ მივედით სურამს, ხოლო პირველ ოქტომბერს საღამოს 7 საათზე ახალციხეს, რომლის აღებით ასეთი სახელი მოიხვეჭა ჩვენმა პასკევიჩმა. „სტრაშნი ოკოპთან“ დამხვდნენ ადგილობრივი ბეგები და აზრუმიდგან გადმოსახლებული მამასახლისები. 2 ოქტომბერს დავათვალიერე ქალაქის დაწესებულებანი და მეჩეთი, გადაკეთებული მართლ-მადიდებელ ტაძრად და ღამის გასათევად ახალქალაქში წავედით. 3 ოქტომბერს გუმბრში ვიყავი, სადაც ჩვეულებრივი სალამით მიმიღეს სომხების მამასახლისებმა, რომელნიც ყარსიდგან აქ გადმოხვეწილან. გამაკვირვა იმ დიდ-ძალ მუშაობამ, რომელიც დასჭირებია ასაგებად ამ ციხესა; ეს ციხე საქართველოსათვის შეიქნება ნამდვილ მოსაგერებელ ადგილად, საიდამაც ერთსა და იმავე დროს მოსახერხებელია ვემუქროთ ოსმალეთს და სპარსეთსა, რომელთ საზღვარი აქ თითქმის ერთდება. ციხის მდებარეობა მიუდგომელ კლდეზე, რომელიც ზევიდან ოსმალების საფლობელოს დაჰყურებს, შეუდარებელია. ქვის შენობა სრულიად დასრულებულია იმავე მომჭირნეობით, რომელსაც ჩვენ დაჩვეული ვართ უკეთეს ჩვენი ციხეების აგებაზე და აქ უნდა სრული სიმართლით ვაღიარო, რომ ძლიერ მომეწონა ბარონ როზენის და ინჟენერის მიერ ნაწარმოები მუშაობა სწრაფად ციხის აგებაზე და მშვენიერი, ამ ციხის გარეგანი მოხაზულობა, აგრეთვე თითქმის დაუჯერებელი ხარჯის სიმცირეც.

მოვისურვე ჩემის ხელით ჩამეგდო პირველი ქვა საძირკვლად ეკკლესიისა, რომელიც აშენებული იქნება წმ. მოწამის დედოფლის ალექსანდრას სახელზე, ხოლო გუმბრს დავარქვით ალექსანდროპოლი

„აქ, ოსმალოს საზღვრებზე ყველაზე უფრო დაახლოვებულ, ჩვენ ციხეში გამომეცხადა არზრუმის სერასკირი მაჰმად-ასედ-ფაშა, სულთნის მიერ წარმოგზავნილი ჩემს მოსასალმებლად და მოსართმევად საჩუქრის, რომელიც ცხენებისა, შალებისა და იარაღებისაგან შესდგებოდა. ფაშამ მითხრა, რომ ჩემმა მბრძანებელმა ამომირჩია, როგორც ოსმალურ მოსაზღვრე მხრის უფროსი, და დამავალა თქვენთვის მოკითხვა მომეხსენებია, საჩუქარი მომერთმია და მზად ვყოფილიყავ თქვენი ბრძანება მომესმინაო. სოფელს მარტერში ჩვენ გადავედით სომხების ოლქში მოდიოდნენ სომხის ბეგები, მელიქები და ქურთების თავი კაცები, რომელნიც გამომყვნენ სარდარ-აბადამდე, სადაც ღამე გავათიეთ. აქ მხარე თან-და თან უფრო მშვენიერდება. არარატი სრულის თავისს სიდიადით მოსჩანს სურათის უკანა პლანზე და კაცს უნებლიედ იტაცებს ფიქრი მხცოვან ძველ დროისაკენ.

„როცა დავეშვი ხეობაში, დავინახე ჩემ წინ საომრად ჩამწკრივებული შეუდარებელი ცხენოსანი ჯარი კენგერდისა [8], ერთნაირ ტანისამოსით გამოწყობილი და საუცხოვო ცხენებზე მჯდომი. იმის წინამძღოლმა ესხან-ხანმა ცხენი გამოაქანა ჩემკენ და რუსულად მირაპორტა, ვითარცა ჩვენის რეგულიარის მხედრობის აფიცერმა. ამ ამალით მივედი სახელგანთქმულ ეჩმიაძინის მონასტერში, სადაც მომეგება ცხენზე მჯდარი სომხების პატრიარქი იოანესი. პატრიარქი ცხენიდან ჩამოხდა, სიტყვა წარმოსთქვა, შემდეგ ისევ შეჯდა ცხენზე და ჩვენ ერთად განვაგრძეთ სვლა იმის ძველ სავანის კედლებისაკენ, რომელიც სომხების ეროვნობის და სარწმუნოების კაპიტოლიას [9] შეადგენს. ეპისკოპოსები და არხიმანდრიტები, ცხენზე მჯდომნი, რაღაც უცნაურს და თითქო სათეატრო სახეს აძლევდა ჩვენ სვლას; პატრიარქის ცხენი ორს შათირს ანუ პაიკს ლაგამში ხელ ჩაკიდული მოჰყავდათ, ხოლო მას უკან მოსდევდა 50 კაცი,—რომელნიც შეადგენდნენ მის საპატიო დარაჯს, სანახევროდ ბერის სამოსლით გამოწყობილნი,—და ორი სასულიერო პირი,—ერთი კვერთხით და მეორე დროშით, რაც მოასწავებდა, რომ პატრიარქის პიროვნებაში შეერთებულია სასულიერო, საერო და სამხედრო უფლებაც. დასასრულ, ყველაზე წინ მოჰყავდათ მარქაფად ძვირფას ასლებით ჯოგის ცხენი. როცა ჩვენ ამ პროცესიით ეჩმიაძინის ზღუდეს მივადექით, მონასტრისა და იმის ეკკლესიების ყველა ზარების რეკა შეუერთდა სასულიერო მწუხრის გალობას და ხალხის გრიალს, რომელიც ყოველ მხრიდან მოსულიყო. მონასტრის გალავნის წინ იდგნენ ბერები და ორი ეპისკოპოსი არქიერის სრულ სამოსლით; ერთმა მათგანმა სამთხვევად გამომიწოდა სასწაულთ მოქმედი ხატი, ხოლო მეორემ მომართვა პურ-მარილი. პატრიარქი ჩრდილოეთის ალაყაფის კარებიდან განშორდა და შევიდა სამხრეთის შესავლიდან ჩემდა მისაღებად ტრაპეზის წინ სრულის თავისის საპატრიარქო სამოსელში და ხელში ჯვრით და თავის ხარისხის სრულის ბრწყინვალებით. აქ იოანესმა წარმოსთქვა მეორე შესხმითი სიტყვა, რის შემდეგ ძველს ტაძარში გაისმა მეფის მისალები მწუხრის გალობა, რომელიც აქ შვიდის საუკუნის განმავლობაში არ გაგვიგონია [10]. ვემთხვიე ნაწილებს, რომელნიც ამ ტაძარში ათას წელზედ მეტს ხანს განისვენებენ, და ისევ იმავე დიდძალი ამალით დავიარე სამოსელთსაცავი, ანუ სალარო, სინოდის პალატა, სემინარია, სტამბა და ბერების სასადილო ოთახი. შემდეგ ამისა შეველ პატრიარქთან, რომელმაც დამლოცა და, მოიწვია რა ღვთისკურთხევა ჩემზე და ჩემ შთამომავლობაზე, საჩუქრად მომართვა ცხოველმყოფელის ჯვარის ნაწილი.

„შემდეგ გამოსვლისა მონასტრიდან, რომელმაც თავისს სიმდიდრით, ცოტა არ იყოს, ვერ გაამართლა ჩემი მოლოდინი [11],—დავათვალიერე კენგერდის ცხენოსანი ჯარი, რომელიც ჩვენ ერევნამდე გამოგყვა. აქ, შემდეგ ლოცვის მოსმენისა ტაძარში [12], შეველ ჩემთვის დამზადებულ სახლში და მოხარულიც ვიყავი, რომ დასვენება შემეძლო.

ს. ღოღობერიძე.

(დასასრული იქნება)

---

*) იხ. „ივერია“, № 86.

[1] ჩვენ თვით დამსწრესაგან გაგვიგონია, რომ იმპერატორ ნიკოლოზს ქუთაისს დახვედრა ძლიერ მოსწონებია; მხიარულად მიიღო ყველა და ოხუნჯობდაო. ლევან ქორქაშვილმა, მაშინდელმა მაზრის უფროსმა, გვიამბო, რომ ქუთაისიდან გასვლაზე ხელმწიფე ძალიან კარგ გუნებაზე იყოო და მე ცხენით გავყევი იმის ეტლსაო. გზაში იმპერატორმა მიაქცია ყურადღება ერთ დიდ ხეს და მკითხა: „что это за дерево“? (ეს რა ხე არისო?) მე ქუდ მოხდილმა მოვახსენე ერთის სიტყვით „букъ, Ваше Величество“ (წიფელია, თქვენო უდიდებულესობავ). ხელმწიფემ სიცილით წარმოსთქვა: „ты самъ букъ (აქ კალამბურია) მეგრელებში დაცულია შემდეგი ანეგდოტი; იმპერატორი გამხიარულდა და სამეგრელოს უზენაესის რჩევის წევრს როსტომ ჩიქოვანს ღიმილით ჰკითხა: „თავადო, რას მიასწევებს, რომ თავი გაგთეთრებია, ხოლო წვერი შავი გაქვსო“. როსტომ ჩიქოვანი მახვილ-გონიერი კაცი იყო და თავმდაბლად მოუხსენებია: „ხელმწიფეო, ნუ დაივიწყებთ, რომ თავი ოცის წლით უხნესია წვერზედაო“. ხელმწიფეს მოსწონებია ეს პასუხი და ბევრი უცინია. ამბობენ-კი, რომ როსტომს წვერი შეღებილი ჰქონდაო. ხოლო იმერლები ოხუნჯობით იხსენიებენ, ვითომც ლევან დადიანს იმპერატორისათვის რუსეთიდგან ფარგის გამოგზავნა ეთხოვოს.

[2] სოფრონიოს წულუკიძე.

[3] წერეთელი.

[4] რუსულ ტექსტშია „владѣльцевъ“.

[5] „князьковъ“.

[6] მოლითის.

[7] ნ. ფალავანოვი.

[8] ანუ კინგურდიცები; ნახიჭევანის მაზრის მცხოვრებლის ქურთების ტომისა იყვნენ. არზრუმის აღების შემდეგ, მუშის ფაშამ ისინი პასკევიჩს მოახმარა (იხ. Письма о Грузіи Л. Исарлова. გვ. 18).

[9] შედარებაა რომის ციხის კაპიტოლიისადმი.

[10] ბროსსე სწერს: „ეჩმიაძინში ოჰანესმა მიიღო იმპერატორი დიდის ამბით და ცერემონიით, გაუღვა ეკლესიაში მეფე ტრდატის კარებიდან, რომელიც სომხებს მუდამ დაკეტილი ჰქონდათ და იმათ სამეფოს დაცემის შემდეგ არაოდეს არ გაღებულა, ის მხოლოდ იმპერატორისათვის გააღეს და აჩვენეს გვირგვინი და სარტყელი მეფის ტრდატისა. Hist. mod. გვ. 333.

[11] ზემოყვანილი სიტყვები მარტო მით აიხსნება, რომ, ყოველ ეჭვ მიუტანელად, ჩვენმა ასრე მორცხვმა და ხათრიანმა გუგულებმა—მეზობლებმა რუსეთში თავის ჩვეულებისამებრ ყურები გამოუჭედეს ყველას თავისს მონასტრის აუარებელ სიმდიდრისა და საგანძეულთას გაზვიადებით.

[12] Que j'avais fait bâtir, რომელიც მე ავაშენებინეო (იმპერატორის ნიკოლოზის შენიშვნა).

რი ის არის, რომ, საუბედუროდ, ჯერ-ჯერობით მათი ხმა „ხმაა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“: „თქვენ, რაც გინდათ, ის სწერეთო“, გაიძახიან აქაური „რაინდები“: „და ჩვენ კი ჩვენი ვიცითო“...

მართლაც, რომ კარგად იციან აქაურმა „რაინდებმა“ თავიანთი საქმე! უფრო მეტად შეაწუხეს სული აქაურმა „დოვლას—დონჟუანებმა“. მოსვენებას არ აძლევენ ქალებს არც ქუჩაში, არც ბაღში და, ასე გასინჯეთ, არც კლუბში.

რომ ცოტად მაინც უზრუნველ ჰყონ ბაღში სეირნობის დროს აქაური ქალიშვილები, მთავრობის განკარგულებით, ამ ბოლოს დროს მიხეილის ბაღში დარაჯობს ხოლმე რამოდენიმე პოლიციელი...

მოსალოდნელია, რომ ამავე აზრით პოლიციელებს ჩააყენებენ აქაურ კლუბშიაც, რადგანაც ამ „რაინდების“ აღვირ-წახსნილობამ ქცევაში იქაც იჩინა თავი. აი, მაგალითად: ამას წინად კლუბი სავსე იყო ხალხით. უმეტესობა ქალადს თამაშობდა, ზოგი სასმელებს შეექცეოდა, ზოგიც ვახშმობდა. ერთ სუფრაზედ ისხდნენ რამდენიმე ინტელიგენტნი და სვამდნენ. იმათ ახლოს ვახშმობდა რამდენიმე ქართველი კაცი და ერთი ქალი. ინტელიგენტები შექეიფიანდნენ. ერთმა მათგანმა რამდენჯერმე უძღვნა უცნობ ქალს „воздушный поцѣлуй“. მისმა ქმარმა ეს შეჰნიშნა, მივიდა ინტელიგენტებთან და ერთ მათგანს (რომელიც ფხიზელი იყო) სთხოვა, დაეშალა ამხანაგისათვის უგვან-უზრდელი ქცევა... სთხოვნა თხოვნად დარჩა: ინტელიგენტმა თავისი საქციელი არ დაიშალა. მოთმინებიდგან გამოსული ქმარი წამოვარდა, მივარდა იმ სტოლთან და ჰკითხა ერთ-ერთს: „...когда-же будетъ конецъ невѣжливымъ выходкамъ ващего товарища?“ იმან ყვირილი მორთო: „უზრდელი თქვენ ხართ, უცნობ კაცს რომ მაწუხებთ, ჩემ ამხანაგს არავითარი უზრდელობა არ ჩაუდენია და არც ჩაიდენს“-ო.

„მაშ თქვენი ამხანაგის მაგიერ შეგიძლიანთ თქვენ აგოთ პასუხი?“ ჰკითხა იმავე ქმარმა.—ვაგებ პასუხსაო, სთქვა ინტელიგენტმა.

„თუ აგრეაო... მიაძახა ქმარმა და თან გაჰკრა პროსტუფლები... ინტელიგენტები წამოცვივნენ, უნდოდათ ხელითვე მიეზღოთ სამაგიერო, მაგრამ ერთმა მოწინააღმდეგემ შესძახა „Ни съ мѣста“-ო და ხელები ჩამოაყრევინა, გაარეტიანა კომპანია.

ამ ამბავმა დიდი ალიაქოთი გამოიწვია. საქმე მთავრობის ყურამდე მივიდა: თხოულობენ სილის გამრტყმელის ბაქოდგან გაძევებას...

გუშინ წინ კლუბის წევრებმა გაარჩიეს ეს საქმე. სილის გამრტყმელი გაამართლეს... ამბობენ, ეს კრება უკანონო იყო, სახევარიც არ დაესწრო წევრთაო. ხელახლა უნდა მოჰხდეს კრება და სილის გამრტყმელი კლუბის წევრობიდგან უნდა გამორიცხონო. შეიძლება: არც მისი ქცევაა მისაწონი, მხოლოდ სამართლიანობა მოითხოვს, რომ ის ინტელიგენტიც თავის ამხანაგით გამორიცხოს კლუბის წევრობიდგან...

უცნობი.

რუსეთი

16 აპრილს ქ. პეტერბურგში „მთავრობისგან გამოცემულ კანონთა და განკარგულებათა კრებულში“ გამოქვეყნებულია ახალი სისხლის სამართლის დებულება, რომელიც შეიცავს 37 თავს და 687 მუხლს.

ახალ დებულებას, სხვათა შორის საყურადღებო ცვლილება შეაქვს პეჭდვითი საქმის არსებულ წესების დამრღვეველთა სასჯელში.

ის პირნი, რომელთაც ბრალად დაედებათ მთავრობისაგან ნება-დაურთველ სტამბის გამართვა, ან შენახვა, დაისჯებიან დაპატიმრებით არა უმეტეს 3 თვისა, ან ჯარიმით არა უმეტეს 300 მანეთისა.

ვინც ნება-დაურთველად გახსნის წიგნის მაღაზიას, სამკითხველოს, ან წიგნთა საცავს—დაისჯება 100 მან. ჯარიმით. ნება-დაურთველად ქუჩაში წიგნების გამყიდველნი დაისჯებიან 25 მან. წიგნების გამყიდველნი, ან სამკითხველოების პატრონები, რომელთაც უნახავთ გასასყიდად შენახულ ნაწერებს, რომელნიც აღკრძალულ ნაწერების სიაში არიან შეტანილი, 300 მან. ჯარიმით დაისჯებიან. ცენზურისაგან დაჭერილ გამოცემათა გამყიდველნი 6 თვით დაპატიმრებით დაისჯებიან. ვინც აღკრძალულ, ან ცენზურისაგან განუხილავ პიესას წარმოადგენს—დაისჯება დაპატიმრებით, ან ჯარიმით არა უმეტეს 500 მანეთისა. ჟურნალ-გაზეთების გამომცემელნი, რომელნიც 1) გამოსცემენ ჟურნალს, ან გაზეთს ნება-რთვის მიღებამდის, 2) მთავრობის შეუტყობინებლად სხვა პირთ გარდასცემენ თავისს გამოცემას, 3) დანიშნულ ვადაზედ არ წარმოუდგენენ ცენზურას უწინასწარ-ცენზუროდ გამოცემულ წიგნების ეგზემპლიარებს, 4) დაბეჭდავენ იმისთანა წერილს, რომელიც დამტკიცებულ პროგრამას აღემატება—დაისჯებიან ჯარიმით არა უმეტეს 100 მანეთისა.

ჟურნალის ან გაზეთის გამომცემელი, რომელიც 1) სასამართლოს სხდომამდის ან საქმის მოსმენამდის გამოაქვეყნებს გამოძიებით აღმოჩენილ ცნობათ, 2) არ ასრულებს კანონით დამტკიცებულ წესს სასამართლოს განაჩენთა ბეჭდვის შესახებ, 3) გამოაქვეყნებს იმგვარ ცნობათ, რომელთათვის განსაკუთრებული ნებართვაა საჭირო,—დაისჯება ჯარიმით არა უმეტეს 500 მან. ვინც გაავრცელებს ხალხში სიცრუეს მთავრობის განკარგულების შესახებ, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს არეულობა, დაისჯება დაპატიმრებით არა უმეტეს 3 თვისა ან 300 მან. ჯარიმითა.

— ხელმწიფე იმპერატორმა ნება დართო მინისტრთა კომიტეტის განჩენხზე, რომლითაც ვარშავის გენერალ-გუბერნატორისათვის მინიჭებული უფლებანი სავალდებულო განაჩენთა გამოცემისა განგრძობილ უნდა იქნას.

— გამოცხადებულია შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულება ტელეგრაფის შესახებ. შემოღებულია კერძო პირთათვის ეგრედ წოდებული „დღიური“ ტელეგრამები, რომელთაც შემდეგის წესით მიიღებენ: 1) კერძო ტელეგრამის გამგზავნელი, რომელსაც არ სურს რომ მისი ტელეგრამა ღამე მიიღოს იმ პირმა, რომელსაც უგზავნის, ადრესის წინ უნდა მიაწეროს სიტყვა „დღიური“; 2) ამ სიტყვაში ფასს არ გარდაახდევინებენ ტელეგრამის გამგზავნელს და გარდასცემენ უსასყიდლოდ. 3) ტელეგრამებს „დღიური“-ს ზედწარწერით გადასცემენ სხვა ტელეგრამებთან ერთად არსებულის საზოგადო წესით და ჩააბარებენ ადრესატებს დილის 7 საათიდან ღამის 10 საათამდის. ახალი განკარგულება შეეხება მხოლოდ იმ ტელეგრამებს, რომელნიც შინაგანი კორესპონდენციით იგზავნებიან და არა საზღვარ-გარედ.

— ქ. ასხაბადიდან ტელეგრამით ატყობინებენ გაზ. С. Петерб. Вѣдом.-ს მუშებში არეულობაა, ბაზრები დახურულია, პურის სიძვირემ უკიდურეს მდგომარეობაში ჩააგდო ხალხი, რომელმაც მოახდინა არეულობა, მოკლა მუშტაიდი და პოლიციემეისტერი. ბრბო ევედრება რუსეთის კონსულს, გვშველეთ, პური გვაიაფებინეთო. ადგილობრივი ადმინისტრაციის მოხელენი ჯერ-ჯერობით მხოლოდ ჯოხებით სცემენ შიმშილისაგან ცნობა-დაკარგულ საწყალ ქალებს.

უცხოეთი

ოსმალეთი. „რეიტერის სააგენტოს“ კორესპონდენტი იწერება სტამბოლიდან, რომ ოსმალეთი ისევ ისეთი სიჩქარით ემზადება საომრათო. გადაწყვეტილია 16 ბატალიონი შეადგინონ და გაგზავნონ ოსმალეთის ევროპის პროვინციებში. „ეს-კი იმის ნიშანიაო, რომ მთავრობას ეფიქრება ახალი არეულობა არა მოხდესო და ცდილობს მომზადებული შეხვდეს ყოველსავე ალიაქოთსო. კომისია, რომელიც ალბანელთა დასამშვიდებლად გაიგზავნა, ისევ იპეკში იმყოფება და, უკანასკნელ რამდენიმე დღის განმავლობაში, მათი მოქმედების შესახებ არაფერი ისმისო“.

„Times“-ის კორესპონდენტი იტყობინება თავისის ლაპარაკის შინაარსს ომერ-ფაშასთან, შაქირ-ფაშასთან და გენერალ-გუბერნატორ კოსსოვოსთან, რომელთაც გადასცეს კორესპონდენტს ცნობანი ხონთქრის კომისიის მოქმედებათა შესახებ. კომისიამ რომელიც მთელი დრო იპეკაში იმყოფება, ვერაფრით ვერ მოახერხა, რომ ალბანელები დაემშვიდებინა. ოსმალებმა გადასწყვიტეს ახალ ძალას მიმართონ.

ავსტრია-უნგრეთი. ხორვატიის საქმის მდგომარეობა ძალიან საფიქრებელია. მთავარმართებელმა, როგორცა სჩანს, გადასწყვიტა სასტიკ ზომებს მიმართოს. ყოველ დღეს ზაგრებში დემონსტრაციებს ახდენენ, რომელთაც პოლიცია და ჯარი ძალით აშვიდებს. საპატიმროები მთლად სავსეა ტუსაღებით, რომელთა შორის ქალებიც არიან. ორი გაზეთების რედაქტორი პასაროვიჩი და გეიბერლი დაიჭირეს და დააპატიმრეს. გაზ. „Odzor“-ის გამომცემი, რომელიც ოპოზიციის დეპუტატებს ემუდარებოდა, ჩაუდექით სათავეში მოძრაობასაო, რომ შეუძლებელი გეხადათ ეს, და მთელი რედაქცია დააპატიმრეს, მაგრამ დეპუტატმა დერევიჩმა იკისრა ამ გამოცემის რედაქტორობა. ხორვატიაში წერილებს ფოსტაშივე ხსნიან და შინჯავენ. ყველგან ჯაშუშებია დაყენებული.

მაკედონია. ბელგრადიდან იუწყებიან,—შეიარაღებულ ალბანელთ გადაიარეს სერბიის საზღვარი იავორის მთებსა და ნოვობაზარის სანჯაყში, და მოჰკლეს საზღვრის დარაჯი და ორი გლეხკაციო. სერბიის მთავრობამ ყოველივე პორტას აცნობა.

— სტამბოლში შეუტყვიათ,—მაკედონიის კომიტეტმა გადასწყვიტეს ევროპის ზოგიერთ, მეტადრე რუსეთის (?) კონსულების დახოცვაო. პორტამ ყოველივე ღონისძიება მიიღო ამ შემთხვევის თავიდან ასაცილებლადაო.

ინგლისი. ამას წინად კერძო კრება ჰქონდა ირლანდიის საპარლამენტო დასს საზოგადოებათა პალატაში ჯონ-რედმონდის თავმჯდომარეობით. კრებამ კომისია აირჩია და დაავალა, შეიმუშავე ის ცვლილებანი, რომელიც საჭიროა ჩართულ იქმნას ირლანდიის საადგილ-მამულო კანონ-პროექტში. კომისიაში სულ იურისტები მოჰყვნენ: ჯონ რედმონდი, დილონი, ო'ბრაიენი, ოა'კონნორი, მაკ-ნეილი, ბლეკი, ო'კელლი და სხვ. გაათავებს თუ არა კომისია მუშაობას, მოწოდებულ იქმნება კვლავ კრება ახალ ცვლილებათა საბოლოოდ დამტკიცებისათვის ირლანდიის საპარლამენტო დასის მიერ.

— დუბლინშიაც იყო სწორედ იმავე დღეს წლიური კრება ლენდ-ლორდების კონვენტისა აბერკორნის ჰერცოგის თავმჯდომარეობით თავმჯდომარემ წარმოსთქვა სიტყვა და დაახასიათა ირლანდიის ახალი საადგილ-მამულო კანონ-პროექტი. ეგ კანონ-პროექტი დიდებული, ყოვლად კეთილშობილური ღონის ძიებააო; ნაწარმოებია დიდად ნიჭიერის სახელმწიფო მოღვაწისაო, ისეთის მოღვაწისა, რომელმაც ყოველივე იღონა, რაც-კი შესაძლებელი იყო მისგან ირლანდიის საადგილ-მამულო საქმის გადასაწყვეტად. სამწუხარო ის არის მხოლოდ, რომ ავტორი კანონ-პროექტისა შუა გზაზედ გაჩერდა ყოველ იმის შესახებ, რაც საფინანსო კერძოობას შეეხება კანონ-პროექტში. კრებამ გადასწყვიტა, მოწონებულ იქმნას დედა-აზრი, რომელიც საფუძვლად უდევს კანონ-პროექტს და მწუხარებას ვაცხადებთ, რომ ეგ დედა-აზრი ბოლომდე არ არის დამთავრებული უინდჰემის კანონ-პროექტშიო.

უინდჰემის კანონ-პროექტით, როგორც ვიცით, უნდა შეესყიდეს ლენდ-ლორდების მამული, რომელიც ირლანდიელ ფერმერებს უჭირავთ, ფასი მიეცეთ ლენდ-ლორდებს სახელმწიფო ხაზინიდან ნაღდად, ხოლო მამული გადაეცეთ საკუთრებად ფერმერებს იმ პირობით, რომ ნაწილ-ნაწილ იხადონ მამულის შემოსავლიდან თავნი და სარგებელი ლენდ-ლორდთათვის მიცემულის ფულისა. ამას გარდა, ხაზინამ უნდა მისცეს ლენდ-ლორდებს ცალკე სხვა ჯილდოც ფულად იმის სამაგიეროდ, რომ იგინი სამუდამოდ ეთხოვებიან თავიანთ საკუთრებას და ადგილ-მამულს, ფერმერებისათვის დათმობილს. ეს ცალკე ჯილდოდ გაცემული ფულიც ზედ შეეკეცება მამულის ფასს, და ხაზინა ფერმერებს გადაახდევინებს წვრილ—წვრილად თავნსა და სარგებელს ხანგრძლივ ვადის განმავლობაში.

ინგლისი. მაკედონიის საქმეებში ინგლისის ფარულ მოქმედების შესახებ გაზ. „Neue F. P.“-ს ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება,—ინგლისში ამ ჟამად არ არის ერთი პოლიტიკური დასი და არც კერძო პოლიტიკოსი, რომელიც მაკედონიას თანაგრძნობით უყურებდესო. ის ხმა, ვითომც ინგლისი მონაწილეობას იღებდეს ამ არეულობაში, გამოწვეულია ამ ხუთის წლის წინანდელი მისის მოქმედებითაო.

იმ დროსაო, სწერს კორესპონდენტი,—ინგლისში შესდგა ოსმალთა მოწინააღმდეგე პოლიტიკოსთა დასი, რომელიც აპირობდა მაკედონელთა გასანთავისუფლებლად დახმარებას და ამისათვის ფულს აგროვებდა. ამ დასმა გაჰგზავნა მაკედონიაში აუარებელი აგენტები, მაგრამ მალე გადასწყვიტეს აღარავითარი მონაწილეობა აღარ მიეღოთ მაკედონელთა საქმეში, ინგლისელ აგენტებმა აცნობეს ლონდონის პოლიტიკოსებს,—მაკედონელთა ბრძოლა მხოლოდ ცალ მხრივი ეროვნული(ბულგარული) მისწრაფებაა და სხვა არაფერიო. ამ დასმა შეუძლოდა სცნო უცხოელთა შემწეობით მიეცეს ამ მოძრაობას სამართლიანი მსვლელობა ყველა ქრისტიან ხალხთა სასარგებლოდაო. მას შემდეგ ინგლისიდან მეამბოხეებს აღარავითარი დახმარება არ მიუღიათ. ამ ერთის წლის წინად, როცა ბორის სარაფოვი ინგლისში მივიდა ფულისა, იარაღის და დიპლომატიურის დახმარების სათხოვნელად, მას სრული უარი გამოუცხადეს. მას შემდეგ იქავ მივიდა პროფესორი მიხაილოვსკი და გამოაცხადა,—ჩვენ არც ფული და არც იარაღი გვინდა. ის თხოულობდა მხოლოდ ინგლისის დახმარებას საზოგადო თანაგრძნობით, მანიფესტაციით და აგიტაციით, მაგრამ ამასაც უარი უთხრესო.

რაც უნდა იყოს, მაინც კიდევ ბულგარიაში არიან ისეთნი, რომელთაც კიდევ სჯერათ ინგლისის დახმარება. მაკედონიაშიაც ბევრი რამ ხდება ინგლისის სახელით.

საფრანგეთი. დრეიფუსის საქმის თაობაზედ ჟორესი, თავისს გაზეთ „Pet. Rép.“-ში სწერს: „ცხადია, რომ საქმის საბოლოოდ და კანონიერ გადაწყვეტას აბრკოლებს მხოლოდ საქმის საწარმოები ფორმალური საკითხი. არა მგონია, რომ ამნისტიას (მიტევებას) შეეძლოს დაუშალოს სასამართლოს—მიიღოს საჩივარი ბორდეროს და მასზედ იმპერატორის მიერ დაწერილ შენიშვნების სიყალბის შესახებ.

თუ ეს საჩივარი მიღებულ იქმნა, უეჭველია, რომ გამოძიება გამოაშკარავებს სიყალბეს. ხოლო თუ ეს საჩივარი არ მიიღეს, სხვა საბაბიც მოიპოვება ახალ გამოძიებისათვის. ეხლაც ჩნდებიან ისეთი ახალი ფაქტები, რომელნიც აუცილებელ საჭიროებად ჰყოფენ საქმის გადასინჯვას. ცალ მხრივ, შესაძლებელი ხდება გამოაშკარავდეს რამდენადმე მოწმის ჩურნუსკის ჩვენების სიცრუე; და მეორეს მხრივ, ის ხრიკი, რომელსაც მიჰმართეს ბორდეროსა და იმპერატორის შენიშვნების შესახებ,—თანდათან თვალ-საჩინო ხდება. ერთი უმთავრესი მოწამე, გენერალი მერსიე, უსათუოდ ურევია ამ საქმეში. მარტო ეს ერთი გარემოებაც საკმარისია, რომ ჩვენში მომხდარ განსამართლებას კაცმა ეჭვის თვალით შეჰხედოს. დიახ, მოახლოვდა დღე სამართლიანისა და კანონიერის მსჯავრისა, სიცრუე და ხრიკიანობა სულს ებრძვიან!“

— დიდი ამბავია პარიჟში ნაციონალისტებ შორის იმის გამო, მიეგებოს თუ არა პარიჟი ინგლისის მეფეს ედუარდს მე-VII-ს. დერულედი, რომელსაც საფრანგეთის მთავრობა დიდად მომდურებული ჰყავს, სწერს, რომ ინგლისის მეფეს საფრანგეთი დიდის ამბით უნდა დახვდესო. მილვუას ქადაგება გაზ. „Patrie“-ში ინგლისელების წინააღმდეგ ავნებს საფრანგეთის ინტერესებსაო. მილვუა მაინც თავისას არ იშლის და მოუწოდებს პატრიოტებს, ნუ სცემთ პატივს ინგლისის მეფესაო. კამათში ჩაერია ახლა როშფორიცა და დაუჭირა მხარი მილვუას დერულედს თავის დღეში გარკვეული პროგრამა არა ჰქონიაო, იმისი წერილი ვექილის წერილივით არის შედგენილიო. ამით როშფორმა სიტყვა იმაზედ გადაუკრა დერულედსა, რომ ვითომ ასეთის საქციელით უნდოდეს წყალობა დაიბრუნოს საფრანგეთის მთავრობისა და არა გულწრფელი გრძნობა ალაპარაკებდეს. საქმე უფრო გამწვავდა მით, რომ პარიჟის საქალაქო საბჭომ გადასწყვიტა, დიდის ამბით მიეგებოს ინგლისის მეფეს. მილვუა გამწარდა—მოიგონეთ ფაშოდაო, მოიგონეთ, რომ ფაშოდის გმირი მარშანი ჯერაც არ ჰღირსებია თქვენ მიერ მიღებასაო, მაგრამ ვეღარა გააწყო-რა.

— „Matin“-ში დაბეჭდილია ოფიციალური ცნობა, რომელშიაც გამოცხადებულია, რომ გავრცელებული ხმა, უმთავრესად ნაციონალისტებისაგან, ვითომ პრეზიდენტს ლუბესა და მინისტრ კომბის შორის უთანხმოება მომხდარიყოს, ალჟირის გუბერნატორის დათხოვნისა და კონგრეგაციის კანონების შესახებ, სრულიად მოკლებულია სიმართლეს. აგრეთვე ტყუილია ზოგიერთ გაზეთების ცნობაო—განაგრძობს გაზეთი, რომ ვითომ კომბს გამოეცხადებინოს—სამსახურს თავს ვანებებო. კომბს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დარჩეს სამსახურში და გაიყვანოს ყველა კანონ-პროექტი, რომელიც მან პალატას წარუდგინა.

— ერთ ფრანგულს გაზეთში კიდევ დაიბეჭდა წერილი ბესსონისა, რომ მთავარ-მინისტრის შვილმა ედგარ კომბმა დაიტრაბახა, ერთი მილიონი მომეცით და თავდებობას მოგცემთ—მთავრობამ ხელი არ ახლოს Cirande Chartreuse-ს მონასტერს და არ აუკრძალოს ამ მონასტერს მოქმედება საფრანგეთშიო. ბესსონი ამბობს, თუ ტყუილს ვამბობ და ცილსა ვწამებ კომბს, მიჩივლოს და ნაფიც მსაჯულთა წინაშე დავუმტკიცებ ამ ბრალდების სიმართლესაო.

ნარკვევი

გაზ. Промышл. мір-ში საგულისხმიერო აზრებია გამოთქმული პირუტყვთა და ადამიანთა შედარებითს მდგომარეობის შესახებ.

პირუტყვები ხანდისხან უკეთეს მდგომარეობაში არიან, ვიდრე ადამიანებიო, ამბობს გაზეთი, მაგალითად ცხენის რკინის გზის სამმართველოებში, რომელნიც ცხენებს უფრო კარგად ეპყრობიან, ვიდრე მოსამსახურე ხალხსაო. ლამაზად და წმინდად გაწყობილი თავლა აქვთ ცხენებისათვის, დიდ ხანს არ ამუშავებენ იმათ, მაგალითად, პეტერბურგში 4—6 საათს დღეში, საკვებს ბლომად აძლევენ და კარგად უვლიან, და ამავე დროს ისმის ცხენის რკინის გზათა კონდუქტორების და მუშების მუდმივი ჩივილი,—მძიმე და ხანგრძლივ სამუშაოს, მცირე ჯამაგირს და თავის ჭაპან-წყვეტას ჩივიან,

წერილი

რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ, თქვენის გაზეთის საშუალებით გულწრფელი მადლობა გადავუხადო დაბა ყვირილის მცხოვრებელს აზნ. ბარბარე ვახტანგ ორჯონიკიძის ასულს ციბაძისას, რომელმაც შემოსწირა თვისის განსვენებულის მეუღლის მერაბ ვახტანგის ძის ციბაძისა და კერძოდ თვისის სახელით ორმოცი თუმანი ქუთაისის რეალურ სასწავლებლის უღარიბეს შეგირდების დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ იმ პირობით, რომ ამ ფულ სარგებელი საზოგადოებამ აძლიოს სწავლის ფუ ლის გადასახდელად ქუთაისის რეალურ სასწავლ ბლის ერთ-ერთ უღარიბეს მოწაფეს განურჩევლა მისის გვარ-ტომისა, წოდებისა და სარწმუნო ბისა.

დირექტორი სასწავლებლისა ვ. ბაბანსკი.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

19 აპრილი.

ხარკოვი. თებერვლის დამლევს ბულაცელის მაღაროში დაიკარგა მუშა ეროხინი; 15 აპრილს საღამოთი იგი ჰნახეს ერთ ადგილა მუშებმა, რომელიაც კვნესა მოესმათ. მიწა ქვეშ ეროხინმა დაჰყო 50 დღე-ღამე და ჩონჩხ დაემსგავსა; გრძნობა სრული აქვს და ღონ თანდათან ემატება; იმედი აქვთ, რომ სულ მორჩება. ჰფიქრობენ, რომ სალათას ძილი დაემართა.

სლავიანსკი. აქაურს სამკურნალო წყლების სეზონი დაიწყება 13 მაისს და გასტანს 25 აგვისტომდე.

პარიჟი. ელისეის სასახლეში ყოფნის დრო ლუბემ წარუდგინა ინგლისის მეფეს თავის სამოქალაქო და სამხედრო ამალის წევრნი. საღამოთი „კომ. ფრან.“-ში გაიმართა საგანგებო წარმოდგენა. ქუჩებში ხალხი სიხარულით ეგებებოდა. ინგლისის მეფე იჯდა პრეზიდენტსა და იმის მეუღლის შუა. წარმოდგენის შემდეგ პრეზიდენტმა მეფე ინგლისის საელჩომდე მიაცილა.

ლონდონი. რაიდესაც ნიუჯუანზე შეეკითხნენ, კრანბორნმა განაცხადა, მთავრობამ იცის, რომ ჩინეთის საზღვაო ქამოჟნების მიერ მოკრებილი გადასახადი, იმ თანხის გარდა, რაც დამოჟნის მოხელეთათვის არის საჭირო, შეაქვთ რუსეთ-ჩინეთის ბანკში რუსეთის ვალის გასასტუმრებლადაო. რუსეთის მთავრობამ მოითხოვა ამ ფულიდან გამოკლებულ იქმნას ის, რაც ნიუჯუან-შაჰაი-გუანის რკინის გზის შტოს მოწესრიგებას დასჭირდა.

სტამბოლი. ოთხშაბათს საღამოს მაკედონელ კომიტეტებმა დაახლოვებით 50 ადგილას დინამიტი ააფეთქეს ქალაქ სალონიკსა და მიდამოებში. ოტტომანის ბანკის განყოფილება გადაარჩინეს. ყუმბარები დაეცდოთ უცხოელთა კლუბის და ზოგიერთ რესტორანის წინ. ჯარები, ჟანდარმები და პოლიცია სდევნიდა ბოროტ-მოქმედთ. აქა-იქ ბრძოლა გაიმართა, რომელთაგან ზოგი ნაშუადამემდე გაგრძელდა. რკინის გზის მსახურ-მოხელეთაგან დაჭრილია მხოლოდ სახელოსნოების გამგე. ვალი და სამხედრო კომენდანტი მივიდნენ იქ, სადაც ცეცხლი გაჩნდა, და განკარგულება მოახდინეს, რომ ჯარებით შეეკრათ ქუჩები, რათა დაეცვათ უცხოელთა საკონსულოები და უმთავრესი შენობები. ვალიმ პირობა მისცა კონსულებს უცხოელთ დავიცავთო. გარდა ზოგიერთ დამნაშავეთა და შეიარაღებულ ბოლგარელთა, დატუსაღებულ იქმნა ბევრი საეჭვო პირი. დიდი აღელვება ჰსუფევს; ვაჭრობა შეჩერდა. პალატამ ყოველი ღონე იღონა უცხოელთა და თავის ქვეშევრდომთა დასაცველად. ადგილობრივ ჯარების გასაძლიერებლად დაბარებულ იქმნა სმირნადან ოთხი ბატალიონი. დიდმა ვეზირმა დაამშვიდა უცხოელი დიპლომატები. სალონიკში დაანგრიეს გერმანელთა კლუბი; სამი წევრი დაჭრილია, ერთიც მოკლული. მსუბუქად დაჭრილია აგრეთვე გერმანიის საკონსულოს გამგე. რკინის გზის სანავთო-საწყობი და გერმანელთა სკოლა აგრეთვე დაზიანდა ყუმბარებისაგან. საფრანგეთის გემზე მომხდარი აფეთქებაც გადაგდებულ ყუმბარის ბრალია.

ხმა გავრცელდა, რომ ამავე დროს ბულგართა ბრბოები გადავიდნენ საზღვარზე და მონასტირის ვილაიეტში რამდენიმე ბრძოლა მოხდაო. ჯერ ამ ხმის შესახებ ნამდვილი ცნობები არ მოსულა.

უსკიუბის ვილაიეტის პეჩოვის ოლქში ხუთშაბათს მომხდარ შეტაკების შესახებ იტყობინებიან, რომ ბრბომ, რომელიც რამდენისამე ას კაცისაგან შესდგებოდა, სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია ჯარს; ორივე მხარეზე ბევრია მოკლულ-დაჭრილი. 12 აპრილს, კიდევ მოხდა ბრბოსთან შეტაკება უსკიუბის ვილაიეტში, კარაევიდან 10 კილომეტრის სიშორეზე სამხრეთით. მეამბოხეთაგან 4 მოჰკლეს და 16 დაატყვევეს; ოსმალელთ 2 კაცი მოუკლეს.

სალონიკში ოსმალეთის მთავრობამ ომიანობის დროის წეს-რიგი შემოიღო.

ილდიზ კიოსკში ღამით მინისტრების კრება მოხდა, შემდეგ-კი იქვე სამხედრო თათბირი გაიმართა. ის ხმა, ვითომც სალონიკის მე-3 და ანდრიანოპოლის მე-2 კორპუსები საომრო ფეხზე უნდა დააყენონო, არ გამართლდა.

ოსმალეთის ცნობებით, სალონიკში საფოსტო დაწესებულების აფეთქებაც უნდო-

დათ, მაგრამ მხოლოდ ცოტათი დააზიანეს. ბოროტ-გამზრახველნი ეტლებით მივიდნენ ოტტომანის ბანკის განყოფილებასთან; ზოგი დარაჯთ დაეცა თავს, ზოგი ბანკში შევარდა და დინამიტით ცეცხლი წაუკიდა.

პარიზი. ოსმალეთის საელჩომ გამოაქვეყნა შემდეგი დეპეშა, სოლონიკიდან მიღებული: „ოტომანის ბანკი იწვის; ნაწილი გადაარჩინეს; ზომებია მიღებული, რომ ცეცხლი არ გავრცელდეს და წეს-რიგი და მშვიდობიანობა არ დაირღვეს. ცეცხლი გაჩნდა ყუმბარებისაგან, რომელიც ისროლეს სამ ეტლში მჯდომმა ბოლგარელმა რევოლიუციონერებმა; აფეთქების დროს ორი ბოროტმომქმედი ყუმბარის ნამტვრევებისაგან მოკვდა, სამი შეიპყრეს. მოკვდა აგრეთვე ერთი ჯარის-კაცი და დარაჯი. უწესოების მოთავე, ბოლგარელი მასწავლებელი გიორგი „გვადალკვივირ"-ის გემით უსკიუბში წავიდა, მაგრამ შეიპყრეს, სალონიკში მოიყვანეს და სამართალში მისცეს.

20 აპრილი.

პეტერბურგი. კონსტანტინეპოლში მყოფ რუსეთის ელჩისაგან ამბავი მოვიდა, რომ ალბანელ იბრაჰიმს, რომელმაც მიტროვიცაში სასიკვდილოდ დასჭრა კონსული შჩერბინა, სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. სხვა განაჩენი, რასაკვირველია მოსალოდნელი არ იყო, მაგრამ ხელმწიფე იმპერატორმა, ყოვლად მოწყალე გრძნობით გამსჭვალულმა, კეთილ ინება და მოისურვა, რომ დამნაშავეს სიცოცხლე აჩუქონ. როდესაც სულთანმა ეს გაიგო, რუსეთის ელჩს გამოუცხადა, რომ მისის იმპერატორების უდიდებულესობის დიდსულოვან ნებას ვემორჩილებიო, მაგრამ დამნაშავეს სამუდამო კატორგა მიენიჭებაო.

ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ნება დართო, რომ ვინდავის სანატორია ხელმწიფე დედოფლის ალექსანდრა თეოდორეს ასულის მზრუნველობის ქვეშ იქმნას მიღებული.

24 აპრილს, დილის თერთმეტ საათზედ, ხელმწიფე იმპერატორი პეტერბურგში დაათვალიერებს ჯარებს. პარადში მონაწილეობას მიიღებს $54^{1}/_{2}$ ბატალიონი, 43 ესკადრონი, 14 სოტნა ცხენოსან ჯარისა, იქნება აგრეთვე 162 ზარბაზანი.

ვორონეჟი. რუსეთის ექიმთა საზოგადოების კომისია 21 აპრილს იწყებს მალარიის გამოკვლევას ვორონეჟთან სამ ადგილას.

ვენა. ავსტრია-უნგრეთის გემები „ჰაბსბურგი", „ვენა", „მაგნიტი" და „ბუდაპეშტი" სალონიკის ნავთ-სადგურში მოვიდნენ.

პარიჟი. ლუბე მივიდა ინგლისის საელჩოში; იქიდან პრეზიდენტი და ინგლისის მეფე წავიდნენ ვენსენს, სადაც ჯარები დაათვალიერეს.

სტამბოლი. სოფელ ბალდოსთან 50 აჯანყებულს თავს დაესხა ოსმალეთის რაზმი; მეამბოხეებს 29 მოუკლეს და 17 დაუჭრეს, ოსმალებს ერთი დაუჭრეს.

სალონიკი. იპოვეს დიდძალი დინამიტი. დაპატიმრება ჯერაც კიდევ არ გათავებულა.

სამაკოვი. შჩერბინას მკვლელის თანამოზიარე, რომელიც წინად გამოტყდა დანაშაულობაში, ეხლა უარს ამბობს, თუმცა მკვლელიცა და მოწმებიც ამას ამტკიცებენ. თვითონ მკვლელი ნანობს და ესმის, რომ ამ მკვლელობით მან ალბანელები ვერ იხსნა.

სოფია. სოლონიკში ააფეთქეს 50 სახლი, სხვათა შორის, ევროპის კოლონიის კლუბიც, სადაც შემთხვევით გერმანიის კონსული იყო. აფეთქების დროს ქუჩებზედ მირბოდნენ შეიარაღებულნი მეამბოხენი. დიდი შიში და არეულობა იყო. კომენდანტი და პოლიციელები დაიმალნენ. ოსმალეთის მთავრობამ მიიღო ცნობა, რომ ბიტოლიაში და უსკიუბში ამგვარივე მზადება ყოფილა ასაფეთქებლად.

სოლონიკი. ხუთშაბათს კიდევ ისროლეს 8—10 ყუმბარა. ბევრია დაჭრილი. შიშის ზარია. ბევრნი დაატუსაღეს.

ვაშინგტონი. რუსეთის ელჩს კარგა ხანს ჰქონდა ბაასი გეისთან. როგორც ისმის, მანჯურიის შესახებ ლაპარაკს მეგობრული და გულწრფელი ხასიათი ჰქონდა.

ვაშინგტონი. პეტერბურგში მყოფი ამერიკის ელჩი იუწყება, მართალი არ არის გაზეთებში მოთავსებული ხმები, რომ ვითომ რუსეთმა წინადადება მისცა ჩინეთს კონვენციის შესახებ. არ ეთანხმება ნამდვილ ფაქტებს ცნობები, რომ ვითომ რუსეთი სთხოვს ჩინეთს, უარი განუცხადოს სხვა სახელმწიფოებს, რომელნიც სთხოვენ, პირობაში აღნიშნულ ნავთსადგურების დათმობას და მანჯურიაში კონსულატების დაწესებას. რუსეთს ფიქრადაც არ აქვს სხვა სახელმწიფოებს გამოსწიროს სარგებლობა. მანჯურიაში ისეთი არა მომხდარა-რა, რომ საჭირო იყოს დახურვა ნავთსადგურებისა, რომლებიც ღიაა ვაჭრობისათვის. რუსეთს ჰსურს მიიზიდოს ამერიკის ვაჭარნი და ფული.

ნეაპოლი. ხმელთა შუა ზღვის ესკადრის ნაწილმა ბრძანება მიიღო სალონიკს წავიდეს.

სტამბოლი. ედიბ-ფაშა სალონიკს წავიდა, სადაც თავმჯდომარედ იქნება ახლად დაარსებულ საგანგებო სასამართლოში.

რომი. გერმანიის იმპერატორი, კრონპრინცის, გრაფ ბიულოვისა და გრაფ ვალდერზეს თანხლებით, რომს მოვიდა. სადგურზე მიეგებნენ იტალიის მეფე, აოსტისა, აბრუციისა და გენუას ჰერცოგები და გრაფი ტურინისა.

პარიჟი. ჯარების დათვალიერების შემდეგ, მეფე ედუარდი, ლუბე და კომბი პარიჟში დაბრუნდნენ და მოვიდნენ საქალაქო მმართველობაში, სადაც მმართველობის პრეზიდენტმა მეფეს სიტყვით მიჰმართა და სადღეგრძელო დალია.

სტამბოლი. არავითარი ნიშანი არ არის იმისა, რომ გამართლდეს ხმა, ვითომც ოსმალები აპირებენ ძალმომრეობას მიჰმართონ ბოლგარელების წინააღმდეგ.

17 აპრილს ყველა ელჩებმა მიჰმართეს პორტას ნოტით სალონიკში მომხდარ ამბოხების გამო. სულთანმა აცნობა რუსეთის ელჩს რომ ედიფ-ფაშა დაინიშნა საგანგებო სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარედ სალონიკში. ამასთანავე დაუმატა, რომ მშვიდობიანობა მალე დამყარდებაო.

პორტას ცნობებით, სოფ. კირნსაში ოსმალეთის სადარაჯო რაზმს ყუმბარები ესროლეს, მაგრამ ყუმბარებმა არ იფეთქეს; ბოროტ-გამზრახველნი მიიმალნენ მომხდარ ამბოხების გამო. სულთანმა აცნობა რუსეთის ელჩს, რომ ედიფ-ფაშა დაინიშნა საგანგებო საგანგებო სამხეურო სასამართლოს თავმჯდომარედ სალონიკში. სხვა ადგილებიდანაც მოდის ცნობა, რომ ბოლგარელები ბევრგან ხმარობენ დინამიტს. პრიზრენში კიდევ მოვიდა რვა ბატალიონი.

21 აპრილი.

პეტერბურგი. „აკრძალულია გაზ. „ნოვ. ვრემიას" ცალკე ნომრომით გაყიდვა.—20-ს აპრილს დაიწყო კრება, რომელსაც აქვს საგნად შეიმუშავოს ღონისძიებანი რკინეულობის გასავრცელებლად რუსეთში.

რომი. გერმანიის საელჩოს სამლოცველოში წირვის შემდეგ, იმპერატორი და პრინცები წავიდნენ პრუსიის საელჩოში ვატიკანთან, იქ იყო გამართული საუზმე, რომელსაც დაესწრნენ სამპოლი და კარდინალები. საუზმის შემდეგ იმპერატორი გაემართა ვატიკანისაკენ. ქუჩებში ჯარები იყო ჩამწკრივებული. იმპერატორი და კრონპრინცი მიდიოდნენ ერთს ეტლში და მისი ამალა თორმეტის ეტლით. იმპერატორი მარტო შევიდა პაპის კერძო კაბინეთში, პრინცები და დიდებულნი-კი გვერდის ოთახში დარჩნენ.

პარიჟი. ინგლისის მეფე დაესწრო წირვას პროტესტანტის ეკლესიაში და დაბრუნდა საელჩოს; აქედან ეტლით და კირასირების თანახლებით წავიდა გარეშე საქმეთა სამინისტროში საუზმეზედ.

რომი. გერმანიის იმპერატორის და პაპის საუბარი გაგრძელდა 20 წამს. მას შემდეგ პაპმა მიიღო პრინცები და ამალა, რომელსაც პაპმა მიჰმართა სიტყვით ფრანგულს ენაზედ. პაპმა აჩუქა იმპერატორსა და პრინცებს სოფიის კენჭის სურათებით. იმპერატორი რომ პაპს გამოესალმა, პრინცებით მივიდა ცოტას ხნით კარდინალ სამპოლასთან სადარბაზოდ.

ვაშინგტონი. გეიმ მიჰმართა რუსეთის დესპანს ნოტით (მიწერილობით), რომელშიაც უცხადებს რუსეთის მთავრობას მადლობას, რომ მანჯურიის საქმის შესახებ რუსეთმა შეატყობინა უმთავრესნი პირობანი, რომელიც სრულიად დააკმაყოფილეს შეერთებულ შტატების მთავრობა.

სტამბოლი. ამტკიცებენ, რომ აქ, მონასტირში და სხვა ადგილებშიაც კომიტეტები იმისთანა ბოროტ-განზრახვას ამზადებენ, რომელიც ჩაიდინეს სელონიკში. დიპლომატიის წარმომადგენლებმა და პორტამ ერთად მიიღეს ზომები ქვეშევრდომთა დასაცველად. სალონიკში მომხდარმა ამბებმა ოსმალეთია მართებლობის წრეებში გამოიწვია ღელვება. ამბობენ. სახელმწიფოები არ დაუშლიან პორტას, რომ კომიტეტების წინააღმდეგ სასტიკი ღონისძიებანი მიიღონ. დიპლომატიურს წრეებში გაკვირვებულნი არიან, რომ პორტამ არ მიიღო საუმჯობესო ღონისძიებანი დასაცველად და გახადა შესაძლებლად ბოროტ-განძრახვისათვის მომზადებულიყვნენ. კერძო ცნობებიდამ სჩანს, რომ ეს მოხდა იმიტომ, რომ ოსმალეთის პოლიცია და ჟანდარმთა კომიტეტების გავლენის ქვეშ იყვნენ, რადგან იმათ საკმაო სასყიდელი არ ეძლევათ. დინამიტის სროლვა და ცალ-ცალკე შეტაკებანი გუშინ დილამდე იყო სალონიკაში. გარეშე საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ ოსმალთა მხრივ 7 კაცი და რამდენიმე ათეულია დაჭრილი, გარეშე სახელმწიფოთა ქვეშევრდომთაგან მოკლულია ერთი ფრანგი—შვეიცარი, ერთი იტალიელი და შვიდიც დაჭრილია. სახლების გაჩხრეკა და დაპატიმრება კიდევ არის. ხმებია, რომ აღმოაჩინეს საიდუმლო სახლები, სადაც ამზადებდნენ და ინახავდნენ დინამიტსა. ხალხი ჯერ კიდევ დიდად შეწუხებულია. ვაჭრობა და მისვლა-მოსვლა შეწყვეტილია. ღამით ილდიზ-კიოსკში ბჭობა მოხდა. პორტა მომხდარის ამბების გამო პასუხისგებას თავიდამ იცილებს.

ბაირლარი (ჯუმაის ოლქი) 50 კაცისაგან შემდგარი ბოლგართა ჯუფთი სულ ერთიანად ამოწყვეტილია. მოკლულთა შორის ორი ბოლგარელი მაიორია, ორი პორუჩიკი და ექიმი სამხედრო ტანისამოსით. ოსმალთაგან 11 კაცია მოკლული და 9 დაჭრილი.

კელნი. გაზ. კელნიშე ცეიტუნგს ატყობინებენ სალონიკიდან, რომ გუშინ ქუჩაში დაიჭირეს რამდენიმე კაცი დინამიტით იმ დროს, როცა ისინი ყუმბარებს ისროდნენ. გაშმაგებულმა ბრბომ დახოცა ისინი. ბევრი ხალხია შეპყრობილი და ბევრი მოკლული. სტამბოლში სულ უფრო და უფრო ხშირად იჭერენ ახლა უსაქმოდ დარჩენილ მაკედონელთ.

სოფია. მიღებულია ახალი დაწვრილებითი ამბები სალონიკში მომხდარ აფეთაებათა შესახებ: გუბერნატორმა თავის დროზე მიმართა გასაფრთხილებელ საშუალებათა, მაგრამ მეამბოხეთა განკარგულებაში ოსმალთა პოლიცია იყო; ზოგიერთ ქუჩებში ცხარე შეტაკებანი მოხდენ რევოლიუციონერებთან. გერმანიის კონსული დაჭრილია ევროპიელთა კოლონიაში კლუბის აფეთქების დროს. ოსმალთა მთავრობამ მიმართა სასტიკ ზომებს. სტამბოლიდან მოვიდა ამბავი, სალონიკში ახლა მშვიდობიანობააო. პორტა ამზადებს ნოტებს სახელმწიფოთათვის და წინადადებას აძლევს, ესა და ეს ზომებია მეამბოხეთა და ანარხისტების წინააღმდეგო. გაბროვის ახლოს (ჯუმაის მაზრა) ერთ ჯუფთს, რომელსაც კაპიტანი პროტოგეროვი წინამძღვრობდა, გარს შემოერტყა 2000 კაცისაგან შემდგარი ოსმალთა ჯარი. ბრძოლა მთელი დღე გაგრძელდა; ისროლეს 60 ყუმბარა; პროტოგეროვი დაჭრილია; მოკლულია 20 მეამბოხე. კაპიტანმა ბალტოვმა, რომელიც მისაშველებლად მივიდა, გაანთავისუფლა ჯარით გარსშემორტყმული და თითონ დაჭრილია. ბალტოვი და პროტოგეროვი გადურჩნენ სიკვდილს, დღეს ჩამოვიდნენ აქა და საავადმყოფოში არიან მიღებულ სამკურნალოდ.

პარიჟი. ლუბემ ინგლისის მეფეს სადილი გაუმართა. სადილს შემდეგ მეფემ და პრეზიდენტმა გაიარეს ბრწყინვალედ გაჩირაღდნებულს ქუჩებზე და მივიდნენ Grand Opera-ში სადღესასწაულო წარმოდგენაზე.

რომი. როდესაც იმპერატორი ვილჰელმი ვოგზლიდამ კვირინალისაკენ მიბძანდებოდა შეეგება რომის ქალაქის თავი კოლონნა. იმპერატორმა გულითადი მადლობა განუცხადა. იმპერატორი კრონპრინცის, პრინცის ეიტელფრიდრიკის და ამალის თანახლებით მიბძანდა პანტეონში და ვიქტორ-ემმანუელის და ჰუმბერტოს საფლავები გვირგვინით შეამკო, შემდეგ ნახეს ქვრივი დედოფალი მარგარიტა. კარდინალი რაპოლლა ვატიკანის პრუსიის საელჩოში მივიდა, რათა გერმანიის იმპერატორისათვის გადაეცა პაპის მოკითხვა.

პეტერბურგის ბირჟა, 18 აპრილს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,00
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,90
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	37,70
ბირჟის დისკონტი	5—$6^{1}/_{2}$%
4% სახელმწიფო რენტა	$98^{3}/_{8}$ გაყ
4% სახ. სესხი 1902 წ.	$100^{3}/_{4}$ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	$95^{3}/_{8}$ მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	$435^{1}/_{2}$ წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	335 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	300 წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^{1}/_{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	$91^{1}/_{2}$ გაყ.
$4^{1}/_{2}$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, " " "	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	4185 წვ. გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	$407^{1}/_{2}$ გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	203 წვ გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით.)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

ბაქოს; 1) სწრაფი № 20 (მარტო საშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ.; 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № $74/_{75}$ ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № $90/_{91}$ შუადღის 12 ს. 38 წ.

ბორჯომს: 1) სამგზავრო № $7/_{8}$ ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № $9/_{10}$ დილის 6 ს. 21 წ.

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 11 ს. 22 წ.; 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 21 წ.; 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ.

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკეობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 4 ს. 40 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ.; 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 01 წ.

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.

ბათუმისაკენ: ღამის 1 ს· 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

შორაპნისაკენ: დღის 3 ს. 8 წ.

განცხადება

ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა

საბჭო

ამით აცხადებს, რომ ამა წლის აპრილის 25, შუადღის 12 საათზე, საბჭოს სადგომში ქ. ქუთაისს დანიშნულია ვაჭრობა ჭიათურის ქსენონისათვის ოთხი ოთახის მოწყობის იჯარით გასაცემად. ვაჭრობა დაიწყება, როგორც სმეტაშია შეტანილი, 1,300 მ. ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, უნდა სათავდებოთ წარმოადგინოს ნაღდ ფულად ზემო დასახელებულ ფულის 10%.

(1—6.—1)

ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა

საბჭო

ამით სთხოვს იმ პირთ, ვისაც სურთ ჭიათურის ქსენონში ფერშალ-აკუშერკის ადგილი მიიღონ, რომელსაც წელიწადში 600 მ. ეძლევა, გამოგზავნოს თხოვნა საბჭოს სახელზე (ქუთაისში) საჭირო დოკუმენტებით. ამასთანავე საბჭო აცხადებს, რომ ამ ადგილის მიღების მსურველმა კარგად უნდა იცოდეს ქართული ენა.

(1—6.—1)


Духи, мыло и цвѣточный о-де-колонъ
Т-ва А. Ралле и Ко.
Парфюмерія
„Шампака"

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.



როიალები



პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები
მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა.

ბ. მ. მირიმანიანისა.

МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО
Б. М. МИРИМАНІАНА
Тифлисъ, Дворцовая ул.
(25—6—8)

ახალი წიგნები

ეს ოვიდა და იყიდება ყველა ქართ. წიგნის მაღაზიებში.

სოსიკო მერკვილაძის მიერ გამოცემული ახალი წიგნები:

სიმღერა აკაკისა. ფასი	15 ,,
პატრა ჩონგური ლექსი (დედა-ენა)	5 ,,
ვაჭრული ჭკუა, ლექსი აკაკისა	5 ,,
დათუნა გოცირიძე **როსტომ ერისთავი** { ძველებური ამბავი აკაკისა	5 ,,
აბრამის და იობის ლექსი	3 ,,
ოქრუა (ხალხური ზღაპარი)	5 ,,
ორი ძოსატყუილა **ბიჭია მენახირე** **მეფე და სკვინჩა** { ხალხური ზღაპარი.	10 ,,

ვინც მოისურვებს ამ წიგნების სყიდვას ან დაბარებას, მიმართოს ტფილისში, ქვაშვეთის ქუჩაზე (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ) არჯევანიძის სახ. **ანნა მერკვილაძის ქალთა ტანისამოსის სამკერვალო მაღაზიაში.**

ვინც თვითოეულ გამოცემას იყიდის არა ნაკლებ ერთი მანეთისა, **ყოველ მანეთზე დაეთმობა თითო აბაზი.**

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Георгіевская (Кашветская) ул., д. Аржеванидзе. № 12 модная мастерская Анны Мерквиладзе.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ, გარდა გამოცხადებულის აგენტებისა (ივ. № 31), რომელნიც არჩეულ იქმნენ აგენტებად 1902 წელს, საზოგადოების აგენტებად ითვლებიან შემდეგი პირები, რომლებიც არჩეულნი არიან წინად:

1, თ. კირილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე . . . ქუთაისში,
2, სილოვან თომას ძე ხუნდაძე „
3, თომა აბრამის ძე მთავრიშვილი. „
4, სამსონ გიორგის ძე ყიფიანი. „
5, თ. ბეჟან დავითის ძე წერეთელი. საჩხერეში.
6, თ. ქაიხოსრო გელოვანი ლეჩხუმში,
7, ბესარიონ ჭელიძე ზუგდიდში,
8, ზაქარია იოელის ძე ნაცვლიშვილი სიღნაღში,
9, ნიკოლოზ ლევანის ძე აბაზაძე. ბორჯომში,
10, ელენე ალექსანდრეს ასული აბულაძისა . , . განჯაში,
11, აბელ იაშვილი . . . დუშეთში,
12, მიხეილ მოსეს ძე მღვდლიშვილი . . . ცაგერში,
13, ირაკლი ლუკას ძე ბაქრაძე ყარსში.

გამოვიდა და ისყიდება

ლედი ჯენ

ჟჳემსონის მოთხრობა სურათებით

სააღდგომო საჩუქრით

ვარაყიანის ყდით 1 მ.

იყიდება ჯეჯილის რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

ჯეჯილის რედაქციაშივე ისყიდება 1897, 98 და 99 წლების ჯეჯილი თითო წლისა ორ მანათად. (10—6—9)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 апрѣля 1903 г. Типографія „Гутенбергъ" (кн. Гр. Діасамидзе) Дворцевая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.